კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

ხელნაწერის უფლებით

ლაშა შამათავა

პოსტსაბჭოთა საქართველოს პოლიტიკური განვითარების პრობლემები და პერსპექტივები

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი - თამარ კიკნაძე

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
თბილისი, 0141, საქართველო
2023

სამეცნიერო ნაშრომი შესრულებულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

თამარ კიკნაძე - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ოფიციალური რეცენზენტები:

1. **ქეთევან ჯიჯეიშვილი** - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
2. **ვახტანგ მაისაია** - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი.

დისერტაციის დაცვა შედგება 2023 წლის 25 აპრილს, 15:00 საათზე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 0141, თბილისი, ჩარგლის ქუჩა №73, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, აუდიტორია №305.

დისერტაციის სრული ტექსტის გაცნობა შესაძლებელია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

პეტრე მამრაძე - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირ. პროფესორი.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

კვლევის აქტუალობა და საკვლევი პრობლემები

მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულში საქართველოს, ისევე, როგორც ყველა სხვა საბჭოთა რესპუბლიკას, მისთვის სრულიად უცხო რეალობაში მოუწია არსებობის დაწყება. საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, მსოფლიოს 15 ახალი სუვერენული სახელმწიფო შეემატა, რომლებმაც XX საუკუნის 20-იანი წლების შემდეგ დასავლური სამყაროს ქვეყნებისგან განსხვავებული განვითარების გზა განვლეს. შესაბამისად, თითოეული ეს სახელმწიფო მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დადგა - ფეხი აეწყო ახალი, მისთვის უცხო ეკონომიკური და პოლიტიკური დინამიკისთვის და საერთაშორისო პროცესებისთვის, სადაც უკვე დამოუკიდებელ აქტორებად დაფიქსირდნენ.

გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადაწყობა, რა თქმა უნდა, არც ერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნისთვის არ ყოფილა მარტივი. თუმცა, გეოპოლიტიკური მდებარეობის, რუსეთთან ურთიერთობის ისტორიისა თუ სხვა ფაქტორთა გავლენით, საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოს პოლიტიკური განვითარების გზა ერთ-ერთი ყველაზე რთული აღმოჩნდა.

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 31 მარტის რეფერენდუმზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 90%-ზე მეტი გამოცხადდა და მონაწილეთა 99%-მა ხმა საქართველოს დამოუკიდებლობას მისცა. სწორედ ხალხის ამგვარი ერთსულოვნება ქმნიდა იმედს, რომ დამოუკიდებელი საქართველო მალე შეძლებდა განვითარების რელსებზე დადგომას და იპოვიდა საკუთარ ნიშას საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე. თუმცა, 30 წელზე მეტხნიან გზას, რომელიც საქართველომ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან განვლო, ნამდვილად ვერ ვუწოდებთ წარმატებულს, მით უფრო, რომ ჯერ კიდევ არ ჩანს, თუ საით მივყავართ ამ გზას.

საქართველოს საბჭოთა კავშირის კოლაფსის შემდგომი და თანამედროვე მდგომარეობის განხილვა ნათლად გვიჩვენებს, რომ შიდა დაპირისპირებებისა და

შუღლის “ისტორიული ტრადიცია” გაგრძელდა, რამაც ახალმოპოვებული დამოუკიდებლობის ადრეულ ეტაპზე სამოქალაქო ომიც გამოიწვია. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 30 წელზე მეტი ხნის შემდეგაც, ჩვენ ერთგვაროვნად ვერ ვაფასებთ ვერც ხსენებულ სამოქალაქო ომს და ვერც იმ ხელისუფლებებს, რომლებთან ერთადაც ეს გზა განვვლეთ. პოსტ-საბჭოთა საქართველოს პირველი ხელისუფლება, რომელსაც ზვიად გამსახურდია მეთაურობდა, სამოქალაქო ომში დამარცხდა. შემდგომი ხელისუფლება ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით კი “ვარდების რევოლუციის” შედეგად დაემხო. ამ რევოლუციის სამი ლიდერიდან ერთ-ერთი, საქართველოს მესამე პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი კი უკრაინის ტერიტორიიდან საქართველოში მალულად შემოპარვის შემდეგ ციხის საკნის მიღმა აღმოჩნდა და დღემდე იქ იხდის სასჯელს.

საქართველოს მოსახლეობაში არ არსებობს აღნიშნულ მოვლენათა თუ პიროვნებათა ერთგვაროვანი შეფასება და ისტორიის მნიშვნელოვან მომენტებზე კონსენსუსი. ქართველებისთვის კიდევ უფრო პრობლემურია საქართველოს განვითარების გზასა და პერსპექტივებზე შეთანხმება. ამავე დროს, ვერც მომავალზე არსებობს საერთო და გაზიარებული წარმოდგენა. დაპირისპირებით აღსავსე, პოლარიზებულ გარემოში, რომელსაც თან ერთვის ყოველდღიური ყოფითი პრობლემებიც, ქართველთა დიდი ნაწილი არათუ ვერ თანხმდება ჩვენი ერის შესაძლო ზოგადსაკაცობრიო როლზე, არამედ მიიჩნევს, რომ საქართველო საერთაშორისო ურთიერთობების უმნიშვნელო აქტორია და მას ასეთი როლი არც კი შეიძლება ჰქონდეს.

ბევრი ფიქრობს, რომ საქართველოს ფართობისა და მისი მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით, სულაც არაა გასაკვირი მის წინაშე არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები და საკუთარი საერთაშორისო ფუნქციის არქონა - იგი ზედმეტად პატარაა იმისათვის, რომ გლობალიზებულ სამყაროში უნიკალური ნიშა დაიკავოს და თავი დაიმკვიდროს, მით უფრო, თუ მის გეოპოლიტიკურ მდებარეობასაც გავითვალისწინებთ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი სახელმწიფოების რაოდენობა, რომელთა ფართობი და მოსახლეობა საქართველოს ფართობსა და მოსახლეობაზე მაქსიმუმ 3-ჯერ მეტია

(ანუ ფართობი არაა 209 ათას კვ.კმ-ზე, მოსახლეობა კი არაა 11 მილიონზე მეტი) 100-ის ფარგლებში მერყეობს, რაც ნიშნავს იმას, რომ პრაქტიკულად ყოველი მეორე ასეთია.

მართალია, საქართველო პატარა სახელმწიფოა, მაგრამ მასთან მიახლოებული და შესადარი ზომისაა მსოფლიოს სახელმწიფოთა თითქმის ნახევარი. ამდენად, მისი განვითარების პრობლემების მხოლოდ მცირე ზომით ახსნა ვერ იქნება მართებული. ამასთან, ჩვენ გვაქვს ისეთი მცირე ქვეყნების მაგალითები, როგორიცაა ისრაელი, ფინეთი, შვეიცარია და ირლანდია, რომლებიც, მიუხედავად ზომისა, წარმატებას აღწევენ, როგორც შიდასახელმწიფოებრივ, ისე საერთაშორისო ასპარეზზე.

პოლიტიკური თვალსაზრისით საქართველოს დღეს არაერთი გადაუჭრელი ფუნდამენტური პრობლემა აქვს:

- ტერიტორიული მთლიანობა;
- ეროვნულ-სახელმწიფოებრივი უსაფრთხოება;
- სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე;
- სიღარიბისა და უმუშევრობის მაღალი დონე;
- განუვითარებელი ინფრასტრუქტურა (განსაკუთრებით საგრძნობია რეგიონებსა და პერიფერიებში);
- მაღალი კლასის პროფესიონალთა დეფიციტი;

  და ა.შ.

გარდა დასახელებული სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემებისა, სავალალო მდგომარეობაა საკუთრივ ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში. პოლარიზაციის დონე მაღალია, როგორც პოლიტიკურ პარტიათა, ასევე პოლიტიკურ პარტიებთან აფილირებულ სატელევიზიო კომპანიებს შორის. დაპირისპირებულობის მაღალი ხარისხი, რა თქმა უნდა, საგრძნობლად აისახება თავად პოლიტიკური ცხოვრების ხარისხზეც - პარტიები არაჯანსაღ კონკურენციაში და გამორჩენისთვის ბრძოლაში არიან ჩაბმულნი, ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება კი უშინაარსო კინკლაობას ემსგავსება, რომელიც

ჩანასახშივე განწირულია და განვითარების ალტერნატივებზე სადისკუსიოდ არანაირ შესაძლებლობას არ ტოვებს.

ზემოთ აღწერილი მდგომარეობის სიმწვავე და "მოჯადოებულ პოლიტიკურ წრეში" არსებული ახალი აზრის დეფიციტი, თავის მხრივ, განაპირობებს იმას, რომ დამოუკიდებელი საქართველოს განვლილ გზასა და მის ამჟამინდელ მდგომარეობაზე ჩამოყალიბებული და დასაბუთებული აზრი მეტად რთულად მოიძებნება არა მხოლოდ მოსახლეობაში, არამედ მეცნიერულ საზოგადოებაშიც. დისერტაციაზე მუშაობის პროცესში გამოვლინდა, რომ ამ მხრივ აკადემიურ სივრცეში გამონაკლისს წარმოადგენს ემზარ ხვიჩიას კვანტური რელატივისტური ნოოლოგია და ამ თეორიაზე დაყრდნობით შემოთავაზებული განვითარების მოდელი, რომლის ანალიზსაც ნაშრომში დიდი ადგილი დაეთმობა.

ვინაიდან, მიუხედავად ქართველ პოლიტიკოსთა დაუსრულებელი დაპირებებისა, სიტუაცია არ იცვლება, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა მინიმუმ არ უმჯობესდება, გეოპოლიტიკური ვითარება უფრო და უფრო რთულდება, ჯამურად საქართველოს მდგომარეობა უარესდება, რისკები კი იზრდება, მიგვაჩნია, რომ საკვლევი თემის აქტუალობა დასაბუთებულად შეიძლება ჩაითვალოს.

ნაშრომის მიზნები და ამოცანები

კვლევის ძირითადი მიზნებია შეაფასოს საქართველოს განვლილი გზა დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე, გამოავლინოს და დაასაბუთოს მის წინაშე არსებული მთავარი პრობლემები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. ასევე, სხვადასხვა მეცნიერული თეორიების, კონცეფციებისა თუ დოქტრინების შესწავლის საფუძველზე ეცადოს ამ პრობლემებისა და გამოწვევების გადაჭრის გზების პოვნა.

კვლევის ძირითადი ამოცანები, რა თქმა უნდა, მჭიდრო ბმაშია საკვლევი თემის ძირითად მიზნებთან ან მათგან პირდაპირ გამომდინარეობს:

- საქართველოსა და პოსტსაბჭოთა ტრანზიციის შესახებ არსებულ თეორიათა მნიშვნელოვანი ნაწილის დამუშავება და გამოკვლევა;
- პოსტსაბჭოთა საქართველოს პოლიტიკური განვითარების პრობლემების იდენტიფიკაცია და მიმდინარე მდგომარეობის შეფასება;
- სხვადასხვა თეორიებისა თუ კონცეფციების საფუძველზე ქართველი ერის არსის და ამის საფუძველზე საქართველოს ოპტიმალური განვითარების გზის დადგენა;
- კვანტური რელატივისტური ნოოლოგიის აპარატის საფუძველზე ქართველი ერის ოპტიმალური საერთაშორისო როლის წარმოდგენა.

ძირითადი საკვლევი კითხვები

სადისერტაციო თემის ძირითად საკვლევი საკითხებია:

1. რა ძირითადი ფაქტორები უშლის ხელს პოსტსაბჭოთა საქართველოს პოლიტიკურ განვითარებას?
2. როგორ შეიძლება დაიძლიოს საქართველოს პოლიტიკური განვითარების წინაშე მდგარი პრობლემები?
3. რა არის საქართველოსა და ქართველი ერის ოპტიმალური როლი საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებში?

კვლევის საგანი და ობიექტი

კვლევის ობიექტია პოსტსაბჭოთა საქართველო, **კვლევის საგანი** კი პოსტსაბჭოთა საქართველოს პოლიტიკური განვითარების პრობლემები და პერსპექტივები.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

უფრო მთლიანი და უდანაკლისო სურათის მისაღებად, კვლევის ფარგლებში საჭირო გახდა არამხოლოდ პოსტ-საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური პროცესების, არამედ ზოგადად საქართველოსა და ქართველ ერზე

არსებული მნიშვნელოვანი აკადემიური ლიტერატურის დამუშავება, რომელშიც შედის როგორც ქართველ, ისე უცხოელ ავტორთა შრომები:

1. ალექსანდრე რონდელი, პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში (2009) - მონოგრაფია შეეხება პატარა ქვეყნების ადგილსა და როლს საერთაშორისო ურთიერთობებში. ავტორი ვრცლად განიხილავს იმ სტრატეგიებსა და ტაქტიკებს, რომელთაც პატარა ქვეყნები მიმართავენ საერთაშორისო ურთიერთობებში (დაბალანსება, მიტმასნება, ბუფერი, ნეიტრალიტეტი, მიუმხრობლობა, ტრიმერი, სატელიტობა და სხვა). წიგნში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ამ ტიპის ქვეყნების ახალ სახეს – პოსტსაბჭოურ პატარა სახელმწიფოს. ამ ახალი სახის სახელმწიფოთა პრობლემატიკა განხილულია სამხრეთ კავკასიის და უმეტესწილად, საქართველოს მაგალითზე. ნაშრომში მიმოხილულია პოსტსაბჭოთა საქართველოს საგარეო პოლიტიკის ფორმირების ეტაპები. ასევე, საუბარია საქართველოს ურთიერთობებზე რუსეთთან, დასავლეთთან და საქართველოს საგარეო პოლიტიკურ არჩევანზე.

2. ვახტანგ მაისაია, საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და დეტერმინანტები "ცივი ომის" შემდეგ (1991-2004 წ.წ.) (2013) - ნაშრომი ქართული პოლიტიკური აზრის განვითარების გარიჟრაჟზეა შექმნილი. ავტორი ყურადღებას ამახვილებს გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ პროცესებზე, აქცენტს აკეთებს მათ რამდენიმე პარამეტრზე, როგორებიცაა: პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური, სამართლებრივი. ნაშრომში ნაცადია საქართველოს გეოპოლიტიკური როლის განსაზღვრა, ყურადღება გამახვილებულია რეგიონულ უსაფრთხოებაზე და მისი შენარჩუნების საკითხებზე. ავტორი განიხილავს ქვეყნის პოლიტიკას გარდამავალ პერიოდში (1990-1993), საქართველოსთვის მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ სივრცეებს და რეგიონული თანამშრომლობის პერსპექტივებს.

3. თამარ კოპალეიშვილი, საგარეო ფაქტორების გავლენა პოსტ-საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური ელიტების ფორმირებაზე (2018) - ნაშრომში განხილულია ფენომენი - პოლიტიკური ელიტა, რომელსაც რეალურ პოლიტიკურ ცხოვრებაზე, შეიძლება ითქვას, ყველაზე დიდი პირდაპირი გავლენა აქვს. თამარ

კოპალეიშვილი განიხილავს, როდის და როგორ წარმოიშვა ტერმინი „პოლიტიკური ელიტა“, რა დადებითი და უარყოფითი გავლენა ჰქონდათ ამა თუ იმ ქვეყნის განვითარებაში პოლიტიკურ ელიტებს და რა როლი ეკისრება მსოფლიო პოლიტიკურ ელიტას XXI საუკუნის გლობალურ გამოწვევათა გადაწყვეტაში.

მოცემული ნაშრომის ძირითადი კვლევის საგანი საქართველოს პოლიტიკური ელიტის ფორმირების ისტორიისა და მისი სტრუქტურის შესწავლაა. ავტორი ყურადღებას ამახვილებს 1989 წლის შემდგომ ქართული პოლიტიკური ელიტის ფორმირების პროცესის თავისებურებებზე და თანმიმდევრულად ხსნის, თუ როგორ წარიმართა პოლიტიკური ელიტის, როგორც მმართველი და ყველაზე გავლენიანი კლასის ჩამოყალიბება გარედან მომავალი გავლენების ზრდასთან ერთად.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აწ უკვე ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში მმართველობის სადავეებთან ახალი ძალები მოექცნენ. ამ ქვეყნებში სხვადასხვა სასტარტო პირობების გამო განსხვავებული სოციალური სტრუქტურები და სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის განსხვავებული ურთიერთობები განვითარდა. თუმცა, ერთი რამ მათ მაინც აერთიანებდათ: სუვერენული სახელმწიფოების მშენებლობის პროცესში პოლიტიკური ელიტების როლი გადამწყვეტი გამოდგა.

4. სტივენ ჯონსი, საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (2013) - ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი პოლიტიკური ისტორიის მრავალმხრივ საინტერესო, სინთეზური ანალიზი, რომლისთვისაც გამოყენებულია, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური წყაროები.

ნაშრომი მოიცავს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ მიმდინარე პოლიტიკური პროცესების, ამომრჩეველთა ქცევის, სახალხო მოძრაობებისა და სოციალური ორგანიზაციების აღწერასა და ანალიზს. სტივენ ჯონსის ნაშრომი, ერთი მხრივ, გვთავაზობს გარეშე დამკვირვებლის პერსპექტივას საქართველოს უახლეს ისტორიაზე, მეორე მხრივ, კი გადამოწმებულ და დადასტურებულ

ფაქტებს პოსტსაბჭოთა საქართველოს ისტორიიდან, რაც მის მომავალზე და პერსპექტივებზე დისკუსიისთვის აუცილებელი ბაზისია.

წიგნში სტივენ ჯონსი განიხილავს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიულ პერიპეტიებს და ყველა იმ საკვანძო პოლიტიკურ მოვლენასა თუ პროცესს, რამაც სახელმწიფოს მშენებლობაში გადამწყვეტი როლი ითამაშა, დაწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიითა და ზვიად გამსახურდიას ფენომენით, გაგრძელებული ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდით, დასრულებული ვარდების რევოლუციით და თანმდევი რეფორმაციის ტალღით. ნაშრომში ჯონსი ცდილობს სიღრმისეულად შეისწავლოს ქართული იდენტობისა და ნაციონალიზმის საკითხები.

5. მარკ იუნგი, ბერნდ ბონვეჩი, დანიელ მიულერი, ეთნოსი და ტერორი საქართველოში (2015) - ნაშრომი გვაჩვენებს საბჭოთა საქართველოს ისტორიის ორ მხარეს - ერთი მხრივ, საქართველო, როგორც ოკუპირებული, კრემლის გავლენას დაქვემდებარებული ქვეყანა, მეორე მხრივ კი საქართველო, რომლის საბჭოთა პოლიტიკური ელიტაც კრემლთან აქტიურად თანამშრომლობდა და საკუთარ ინტერესების გატარებას ცდილობდა. აღსანიშნავია, რომ კვლევას თან ერთვის ქართველ ისტორიკოსთა შორის გამართული მძაფრი დისკუსიების ამსახველი დოკუმენტები.

ავტორთა მონოგრაფიული კვლევის მთავარი საკვლევი საკითხია, ატარებდა თუ არა 90-იანი წლების საქართველოში დისკრიმინაცია და შევიწროება ეთნიკურ ხასიათსა და გენოციდის ნიშნებს, ისეთ მრავალფეროვან და ტოლერანტულ სახელმწიფოშიც კი, როგორიც საქართველოა. ავტორი ყურადღებას ამახვილებს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წინააღმდეგ ჩადენილ დისკრიმინაციულ აქტებზე, როგორებიც არიან ბერძნები, გერმანელები და ა.შ. ეს შემთხვევები განხილულია არა იზოლირებულად, კონტექსტის გარეშე, არამედ შედარებულია ოსებისა და აფხაზების წინააღმდეგ მიმართულ რეპრესიებთან.

მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომში ფაქტობრივი თვალსაზრისით კარგად არის შესწავლილი პოსტსაბჭოთა საქართველოს ისტორიის ცალკეული ასპექტები: ეკონომიკასთან დაკავშირებული საკითხები,

დემოგრაფიული და სოციალური მდგომარეობა, კონფლიქტები, ევროკავშირთან და ნატოსთან ინტეგრაცია და სხვ.

6. **ელბერდ ბატიაშვილი, პეტრე იბერი: „საერთო ნიადაგის“ თეორიის ისტორიული და გნოსეოლოგიური ფესვები (2015) -** სტატიაში ავტორი განიხილავს “საერთო ნიადაგის თეორიის” წარმოშობას, სოლომონ დოდაშვილის და ოქროპირ ბატონიშვილის წვლილს ამ თეორიის ხელახლა წამოყენებაში და ილია ჭავჭავაძის მიერ მისი სრულყოფის პროცესს. ამასთან, ავტორი საუბრობს თეორიის ისტორიულ ფესვებზეც, რომელთაც პეტრე იბერამდე მივყავართ. თუ ვიმსჯელებთ “საერთო ნიადაგის თეორიაში” მის მიერ დამატებულ კომპონენტებზე დაყრდნობით, ილია ჭავჭავაძე „სამსახოვანი პიროვნებაა“; მომავალი ქართული სახელმწიფოს მისეული სტრატეგიული ხედვა და გააზრება ერთდროულად 3 პოლიტიკურ იდეოლოგიას ეფუძნება – კონსერვატიზმს, ლიბერალიზმს და ევროპულ სოციალ–დემოკრატიას: სახელმწიფო წყობის თვალსაზრისით იგი კონსერვატორი, კონსტიტუციური მონარქიის პრინციპებზე სახელმწიფო მოწყობის მომხრეა, ადამიანის უფლებების თვალსაზრისით თანამედროვე ლიბერალიზმის, ხოლო ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით ევროპული სოციალ–დემოკრატიული ღირებულებების მომხრე და გამზიარებელია.

7. **ემზარ ხვიჩია, ნოოლოგია: თვითკმარი არსებობის ლოგიკა საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონები (2020) -** ჩვენი აზრით, ეს მონოგრაფია შესაძლებელია შეფასდეს, როგორც ახალი სიტყვა სოციალურ მეცნიერებებში და ბოლო ათწლეულებში ქართული სამეცნიერო სკოლის შექმნილი მთავარი პროდუქტი. ნაშრომი ერთგვარი სახელმძღვანელოა ემზარ ხვიჩიას მიერ შექმნილი ახალი მეცნიერული დარგის - ნოოლოგიის შესასწავლად. ნაშრომი მეტად კომპლექსურია - იგი მოიცავს ელემენტებს ისეთი სამეცნიერო დისციპლინებიდან, როგორებიცაა: ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ისტორია, პოლიტოლოგია, სოციოლოგია, კულტუროლოგია და სხვა. ნაშრომში ავტორი ერთგვარად აჯამებს 30 წლიან უწყვეტ კვლევის პროცესს და გვთავაზობს ფუნდამენტურად ახალ პარადიგმას, ახალ “სააზროვნო ჩარჩოს”, რომელიც მთელი

მსოფლიო ისტორიის პროცესის ინტერპრეტაციისა და ამ საფუძველზე აწმყოში ოპტიმალური მოქმედების გეგმის შემუშავების შესაძლებლობას იძლევა. განსხვავებით სხვა ავტორთაგან, ხვიჩია ფენომენოლოგიურ მეთოდებს იყენებს მხოლოდ დედუქციური მეთოდებით მიღებული შედეგების გადასამოწმებლად, რაც საშუალებას აძლევს მას მიიღოს ისეთ ფუნდამენტურ ცნებათა დაზუსტებული დეფინიციები, როგორებიცაა "პიროვნება, ერი, ცივილიზაცია".

8. ემზარ ხვიჩია, ინფორმაციული ცივილიზაცია გლობალიზებულ სამყაროში და საქართველო (2012) - გახლავთ ემზარ ხვიჩიას სადისერტაციო ნაშრომი, რომლის წარმატების დაცვის შემდეგაც ავტორს სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხი მიენიჭა. ამ შრომაში ავტორი საკუთარი თეორიის თეორიულ ნაწილზე ნაკლებად კონცენტრირდება, იგი გვაცნობს მხოლოდ თეორიის ძირითად ცნებებს და კატეგორიებს და მის საფუძველზე მიღებულ "ოპტიმალიზმის დოქტრინას". ამასთან, ხვიჩია მიმოიხილავს და კრიტიკულად აანალიზებს საერთაშორისო ურთიერთობების არსებულ თეორიებს და ასაბუთებს ახლებური მიდგომის უპირატესობებს.

ნაშრომის ჰიპოთეზა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში მიღებული პრაქტიკაა, რომ ნაშრომს ჰქონდეს ჰიპოთეზა, რომელიც კვლევის წარმოების პროცესში ან დადასტურდება ან უარყოფილ იქნება. მიუხედავად ამისა, გამომდინარე იქედან, რომ ეს პირველი ნაშრომია, რომელშიც მოხდა ახალი მეცნიერული თეორიის, კვანტური რელატივისტური ნოოლოგიის (შემდგომში ასევე "ნოოლოგია") გამოყენება, თავი შევიკავეთ ჰიპოთეზის დაკონკრეტებისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოგვიწევდა ნოოლოგიის აპარატის მხოლოდ მექანიკური გამოყენება, რამეთუ ნოოლოგია აჩვენებს სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულებას და კვლევის დასაწყისში, რაც არ უნდა ჰიპოთეზა ჩამოგვეყალიბებინა, ძალიან მალე მოგვიწევდა ამ ჰიპოთეზის შეცვლა, შემდეგ მალევე მეორე ჰიპოთეზის შეცვლა და ა.შ.

ასეთ შემთხვევაში ერთადერთ მდგრად ჰიპოთეზად შეიძლებოდა გვეგულისხმა ეს - დადასტურდებოდა თუ არა კვანტური რელატივისტური ნოოლოგიის დასკვნები პოსტსაბჭოთა საქართველოს პოლიტიკური განვითარების საკითხების მიმართ. მაგრამ რადგან წინამდებარე კვლევის პირდაპირი არც მიზანი, არც ამოცანა არ ყოფილა ნოოლოგიის შინაარსის არც დადასტურება და არც უარყოფა, ასევე არც ერთადერთ თეორიად ნოოლოგიის გამოყენება არ იყო გადაწყვეტილი, ვამჯობინეთ კვლევის წარმოება ჰიპოთეზის გარეშე.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

ნაშრომის მეცნიერული სიახლე სამ მთავარ მიმართულებას მოიცავს:

1. დისერტაციის ფარგლებში ჩატარებულ კვლევას უნიკალურობას ანიჭებს ის ფაქტი, რომ პოსტსაბჭოთა საქართველოს ტრანზიციის პროცესი აქამდე ისეთი მრავალფეროვანი მეთოდოლოგიური მიდგომებით არ ყოფილა შესწავლილი, როგორც ეს წინამდებარე ნაშრომშია. აქამდე ამ საკითხის შესწავლა ერთი ნაშრომის ფარგლებში ხდებოდა ძირითადად ერთი მეთოდოლოგიის გამოყენებით. ჩვენ გამოვიყენეთ: ისტორიული ანალიზი, ქეის სტადი (case study), ჩაღრმავებული ინტერვიუები, კონტენტ-ანალიზი და კვანტური რელატივისტური ნოოლოგია. შესაბამისად, პოსტსაბჭოთა საქართველოს პოლიტიკური განვითარების საკითხები შესწავლილია უფრო კომპლექსურად და ღრმად, ვიდრე ეს აქამდე მომხდარა.
2. კვლევის ფარგლებში შესწავლილია ის ძირითადი საკვანძო პარადიგმა და საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები, რომელიც პატარა სახელმწიფოს ქცევას ხსნის, ამასთანავე მათთვის ოპტიმალურ სახელმწიფო მოდელს, საგარეო პოლიტიკისა და განვითარების ალტერნატივას გვთავაზობს (მაგ. პოსტ-საბჭოთა ტრანზიციისა და დემოკრატიზაციის თეორიები). შესაბამისად, დისერტაციის სიახლეს წარმოადგენს იმ თეორიული ბაზისის ღრმად შესწავლა და დამუშავება, რაც საერთაშორისო ურთიერთობებში პატარა ქვეყნის როლს უკავშირდება და ამ თეორიების გაცნობის შედეგად მიღებული დასკვნები: ჩვენს მიერ შესწავლილი არცერთი თეორია არ იძლევა თანამედროვე

გლობალურ კონიუნქტურაში პატარა სახელმწიფოს ოპტიმალური ქცევის შესახებ ამომწურავ ცოდნას;

3. ახალი თეორიული აპარატის - კვანტური რელატივისტური ნოოლოგიის გამოყენებით გაანალიზებულია, როგორც საქართველოს განვითარების წინაშე არსებული პრობლემები, გამოწვევები და მათი ისტორიული კონტექსტი, ასევე - ამ საკითხის რეგიონული და გლობალური განზომილებები. დისერტაციაში საქართველოს ოპტიმალური განვითარების გზა და მოდელი დასაბუთებულია ოპტიმალიზმის დოქტრინის მეშვეობით.

აქვე საჭიროდ მიგაჩნია აღვნიშნოთ, რომ კვლევის პროცესში ათეულობით საათი დაიხარჯა და მოძებნილ იქნა ასეულობით (900-მდე) მასალა, რომლებიც ეხება საქართველოს პოლიტიკური განვითარების საკითხებს, ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ პრობლემებს და ასახავს დროის სხვადასხვა მონაკვეთში საქართველოში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებსა თუ ფაქტებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია დისერტაციის ძირითად საკითხებთან. უნდა აღინიშნოს, რომ ადვილად იძებნებოდა მასალები ცალკეულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე, მაგრამ რთული აღმოჩნდა ისეთი მასალების მოძებნა, რომლებიც ეხებოდა საქართველოსა და ქართველი ერის პოლიტიკური განვითარების საკითხებს მთლიანობაში. ამ მასალების ერთი ნაწილი (150-მდე მასალა) დისერტაციის ტექსტის წერის პროცესში შევისწავლეთ და გამოვიყენეთ (შესაბამისად, ისინი მითითებულია ბიბლიოგრაფიაში), მეორე ნაწილის შესწავლა კი ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა. ამ ნაწილს გთავაზობთ დანართში №8 და გამოვთქვამთ იმედს, რომ საქართველოს პოლიტიკური განვითარების საკითხებით დაინტერესებულ მკვლევრებს გარკვეულწილად გავუადვილებთ მუშაობის პროცესს.

კვლევის მეთოდები

ნაშრომზე მუშაობისას კვლევა ორი ძირითადი მიმართულებით წარიმართა: ერთი მხრივ, აუცილებლად მივიჩნიეთ საკვლევ თემასთან დაკავშირებით შექმნილი როგორც ქართული, ისე უცხოური ლიტერატურის დამუშავება.

ამასთან, არ შევიზღუდეთ მხოლოდ პოლიტიკის და პოლიტიკური განვითარების ისტორიის მიმართულებით, ვინაიდან ეს აუცილებლად შეცვლიდა მთლიან სურათს და ყურადღების მიღმა დატოვებდა სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს. მეორე მხრივ, საჭიროდ მივიჩნიეთ საქართველოს განვითარების პრობლემებსა და პერსპექტივებზე ჩაღრმავებული ინტერვიუების ჩატარება ამ საკითხებზე აქტიურად მომუშავე პირებთან, მათ შორის, პოლიტიკოსებთან. ამგვარად, ძირითადად დავეყრდენით პოლიტიკისა და მასთან მომიჯნავე დარგების სპეციალისტებთან ინტერვიუებს, ემზარ ხვიჩიას "კვანტური რელატივისტური ნოოლოგიის" და "ოპტიმალიზმის დოქტრინის" დასკვნებზე აპელირებით.

უფრო კონკრეტულად, მონაცემთა შესაგროვებლად გამოვიყენეთ შემდეგი მეთოდები:

- **კაბინეტური კვლევა** - მოხდა სხვადასხვა ტიპის დოკუმენტების ანალიზი და განხილვა, რამაც საშუალება მოგვცა საკვლევი თემის შესახებ მიგვეღო ვალიდური, სანდო ინფორმაცია, რაც კვლევის მიზნისთვის მნიშვნელოვანი იყო.
- **მონაცემთა ანალიზისთვის გამოვიყენეთ:**
- **კონტენტ ანალიზი** - კვლევაში გამოვიყენეთ კონტენტ ანალიზი, როგორც საარქივო ჩანაწერებიდან, დოკუმენტებიდან და გაზეთებიდან მოპოვებული მონაცემების სისტემატური ანალიზის მეთოდი;
- **შემთხვევების შესწავლა (case study)** – კვლევის ფარგლებში აუცილებელი გახდა შეგვესწავლა საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული თეორიების რეალობაში მოქმედება, რისთვისაც მნიშვნელოვანი იყო გარკვეული შემთხვევების შესწავლა და ანალიზი;
- **ისტორიული ანალიზი** - საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენების ურთიერთკავშირისა და კვლევის ისტორიულ-აღწერილობითი ნაწილის მომზადებისთვის მნიშვნელოვანი გახლდათ ისტორიული პროცესების აღდგენა;
- **სიღრმისეული ინტერვიუ** - კვლევის ფარგლებში ჩატარდა 20 სიღრმისეული ინტერვიუ და იგი მიზნად ისახავდა წარმოგვეჩინა თუ როგორ აფასებენ

პოლიტიკოსები, სხვადასხვა დარგის ექსპერტები, მკვლევრები და მეცნიერები ქვეყნის განვითარებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს და პერსპექტივებს. თემის ფარგლებში ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუებისთვის შერჩევის მთავარი კრიტერიუმები რესპონდენტთა პროფესიული კვალიფიკაცია, აკადემიური სტატუსი და ობიექტურობის ხარისხი იყო.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული სამეცნიერო კვლევა-ძიების შედეგად მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები მნიშვნელოვანი კონტრიბუცია იქნება საკვლევი თემის თეორიული განვითარების თვალსაზრისით.

რაც შეეხება, ნაშრომის პრაქტიკულ მნიშვნელობას, იგი გამოადგება სტუდენტებს, მკვლევრებს, ექსპერტებს, პოლიტიკოსებს და იმ პირებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან პოსტსაბჭოთა საქართველოს განვითარების წინაშე გაჩენილი პრობლემების არსით და ამ დაბრკოლებების პოლიტიკური გადაწყვეტის რეცეპტის ძიებით. ნაშრომის გამოყენება მიზანშეწონილია, როგორც სალექციო კურსის ფარგლებში, ასევე - აკადემიურ და პოლიტიკურ წრეებში ცირკულაციისთვის და ახალი ინტელექტუალური აზრის ფორმირებისთვის.

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, თერთმეტი ქვეთავისა და დასკვნისგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართები.

პირველი თავში ჩამოყალიბებულია პოსტსაბჭოთა საქართველოს პოლიტიკური განვითარების წინაშე არსებული გამოწვევების ისტორიული ანალიზი და თეორიული ჩარჩო.

მეორე თავში - "პოსტსაბჭოთა საქართველო და მის წინაშე არსებული გამოწვევები" - გადმოცემულია საქართველოს გეოსტრატეგიული მდებარეობის ძირითადი მახასიათებლები, ელიტების ფორმირების თავისებურებები. ამავე

თავში გაანალიზებულია პოსტსაბჭოთა საქართველოს დასავლური საგარეო პოლიტიკური ვექტორის დადებითი და უარყოფითი შედეგები, აგრეთვე 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების ქრონიკები, რომლითაც ნათლად წარმოვაჩინეთ პოსტსაბჭოთა საქართველოში არსებული პოლარიზაციის მაღალი დონე.

მესამე თავი მთლიანად ეძღვნება პოსტსაბჭოთა საქართველოს ოპტიმალური განვითარების პერსპექტივების ძიებას. აღნიშნულ თავში წარმოჩენილია საერთაშორისო აქტორების (აშშ, ევროკავშირი, რუსეთი და ჩინეთი) გავლენა საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებაზე. ამავე თავში შემოთავაზებულია ქართველი ერის ზოგადსაკაცობრიო ოპტიმალური როლის კონცეპტუალური გადააზრების აუცილებლობა და შესაძლებლობა. საერთაშორისო ურთიერთობების, პოლიტიკის მეცნიერების, ისტორიის და სხვა სახის სპეციალისტებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზით შევეცადეთ წარმოგვეჩინა საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება საქართველოს პოლიტიკური განვითარების კვლევას და ქართველი ერის ოპტიმალური მოდელის ინიცირებას გლობალურ პოლიტიკაში, რომლისთვისაც შეირჩა რელევანტური კვლევის მეთოდები და თეორიული ჩარჩო.

სადისერტაციო ნაშრომის შედგება შესავლის, სამი თავის, თერთმეტი ქვეთავისა და დასკვნისაგან, ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართები.

შესავალში გადმოცემულია დისერტაციის საკვლევი თემის აქტუალობა, საკვლევი პრობლემები, მიზნები და ამოცანები, საკვლევი კითხვები, კვლევის საგანი და კვლევის ობიექტი, სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევის

მეთოდები, ნაშრომის მეცნიერული სიახლე, ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.

თავი I. პოსტსაბჭოთა საქართველოს პოლიტიკური პროცესების ანალიზის ისტორიული, მეთოდოლოგიური და თეორიული ჩარჩო

ქვეთავები:

1.1. საქართველოს ისტორიული განვითარების თავისებურებები და ქართველების აღქმა თავიანთი როლის შესახებ გლობალურ სამყაროში;

1.2. საერთაშორისო ასპარეზზე პატარა ქვეყნების ქცევის მოტივაციის შესახებ თეორიული საფუძვლები;

1.3. პოსტ-საბჭოთა სივრცის ტრანსფორმაცია, ტრანზიციის პროცესი და მისი განზომილებები;

1.4. კვანტური რელატივისტური ნოოლოგია და ოპტიმალიზმის დოქტრინა.

სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში გაანალიზებულია პოსტსაბჭოთა საქართველოს კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები და ისტორიული პერიპეტიები, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა თანამედროვე ქართული სახელმწიფოს ფორმირებაში. საუბარია საქართველოზე, როგორც პატარა სახელმწიფოზე, რომელსაც თვითგადარჩენისა და შემდგომი კეთილდღეობისთვის ოპტიმალური როლისა და ფუნქციის როლის პოვნა სჭირდება, ხოლო საერთაშორისო კონიუნქტურის ანარქიულობიდან გამომდინარე, მძაფრ წინააღმდეგობას აწყდება. ამავე წესრიგის პირობებში იმთავითვე რთულია საკუთარი ნიშის დამკვიდრება გლობალური მასშტაბით.

ქეის სთადის მეთოდით განხილულია ჩეხეთისა და ხორვატიის მაგალითები და მათი განვითარების წინაპირობები, რომელიც შედარებულია სხვადასხვა მონაცემების გათვალისწინებით, როგორიცაა: მშპ ერთ სულ მოსახლეზე, მოსახლეობა, ტერიტორიის ფართობი, საერთაშორისო ვითარება.

ნაშრომის პირველი თავი აგრეთვე ეთმობა ქართველი ერის ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობისა და მისი უნიკალური თავისებურებების კვლევას, რომლის ქვაკუთხედადაც შუა საუკუნეებში რელიგიაა წარმოჩენილი. ქართველი ერის ისტორიას მკაფიოდ გასდევს ის ხაზი, რომ ქართველთა შორის ხშირი იყო შიდა დაპირისპირებები და ღალატი, ასევე, ჭარბობდა შემთხვევები, როდესაც

ქართველები დიდ წარმატებას აღწევდნენ და მსოფლიო მნიშვნელობის პროცესების თანამონაწილენიც ხდებოდნენ ხოლმე.

საბჭოთა სისტემის კოლაფსის შემდეგ ქართველი ერის წინაშე ახალი ამოცანა დადგა: როგორ უნდა გაეგრძელებინა ქვეყანას არსებობა, რომელი განვითარების მოდელი უნდა აერჩია და რა სახის პოლიტიკა უნდა ეწარმოებინა? 1990-იანების ტურბულენტურ პერიოდში წამოჭრილ გამოწვევებს ქართულმა საზოგადოებამ შიდა არეულობითა და სამოქალაქო ომით უპასუხა, რამაც ახლადმოპოვებული დამოუკიდებლობა კიდევ უფრო მყიფე გახადა.

საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ ტრანზიციის პერიოდი რთული და ქარტეხილებით აღსავსე გამოდგა, ვინაიდან გარდამავალი პერიოდი მთელი რიგი წინაღობებით ხასიათდებოდა სხვადასხვა განზომილებაში, როგორც პოლიტიკაში, ასევე - ეკონომიკაში და კულტურაშიც. საჭიროების კარნახით, აქვე მიმოხილული და გაანალიზებულია ტრანზიციის პროცესის კვლევისას განსხვავებული თეორიული და კონცეპტუალურ ჩარჩოები, მოხმობილია სხვადასხვა ავტორის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები, რომლებიც ცდილობენ ახსნან გარდამავალი პერიოდის თავისებურებები.

პირველ თავში წარმოდგენილია ქართულ სამეცნიერო სივრცეში შექმნილი თეორიის - კვანტური რელატივისტური ნოოლოგიის კონტურები, რომელიც თანამედროვე გლობალური პოლიტიკური არქიტექტურის ახსნისა და ამ წესრიგში საქართველოს როლის გააზრების მთავარ თეორიულ-მეთოდოლოგიურ ჩარჩოდ და კონცეპტუალურ ბაზისად შეირჩა. აქვე, დასაბუთებულია აღნიშნული არჩევანის უპირატესობები და ნოოლოგია გამოყენებულია, როგორც თეორიულ-მეთოდოლოგიურ ჩარჩოდ ასევე კვლევის მეთოდადაც. აღნიშნული თეორიული სისტემით მკითხველის წინაშე ახალი სინამდვილე იშლება.

თავი II. პოსტსაბჭოთა საქართველო და მის წინაშე არსებული გამოწვევები

ქვეთავები:

2.1. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები და პოლიტიკური მდგომარეობის ქრონიკები საქართველოში;

2.2. საქართველოს გეოსტრატეგიული მდებარეობის მახასიათებლები;

2.3. დასავლური არჩევანის დადებითი და უარყოფითი შედეგები;

2.4. პოსტ-საბჭოთა საქართველოს ელიტების ფორმირების თავისებურებები

დისერტაციის მეორე თავის დასაწყისში განხილულია საქართველოს უახლეს ისტორიაში მომხდარი პოლიტიკური ძვრები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პრე-ისტორიას, უშუალოდ არჩევნების შეფასებით ნაწილსა და მის შემდეგ განვითარებულ პროცესებს. სიღრმისეულადაა შესწავლილი ის საარჩევნო გარემო, სადაც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. დეტალურადაა აღწერილი, თუ როდის დაიწყეს პოლიტიკურმა პარტიებმა წინასაარჩევნო კამპანიის წარმოება და რა პირობებში უწევდათ მათ ოპერირება.

აქვე, გამოვლენილია ის მთავარი ინდიკატორები, რამაც წინასაარჩევნო გარემოს განსაზღვრაში საკვანძო როლი ითამაშა, ესენია: პოლარიზაციის მაღალი ხარისხი, პარტიებს შორის უნდობლობა, აგრესიული ურთიერთსაწინააღმდეგო კამპანია და კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული გართულებები. პოლარიზაციაზე და აგრესიულ წინასაარჩევნო კამპანიაზე დაკვირვება შესაძლებელი გახდა მედია სივრცის მონიტორინგისა და სამაუწყებლო გარემოს შესწავლითაც.

ცალკე აღნიშვნის ღირსია საპარლამენტო არჩევნების შედეგების დათვლის შედეგად გაჩენილი უკმაყოფილების ფონზე წარმართული საპროტესტო გამოსვლები, რომელსაც ოპოზიციური პარტიები ხელმძღვანელობდნენ. ამავე პერიოდში ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ ცხოვრებას გაემიჯნა და პარტიის თავმჯდომარის პოსტი დატოვა, გიორგი გახარიამ კი საზოგადოებას პრემიერ-

მინისტრის პოსტის დატოვების შესახებ ამცნო, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკებების წარმართვისა და საზოგადოებრივი დაძაბულობის განმუხტვის ფუნქცია კი ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა ითავა. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომი ტურბულენტური პერიოდი პოლიტიკურ ველზე ორი ახალი პოლიტიკური ძალის გამოჩენით დაგვირგვინდა, ესენია: ლევან ვასაძის მიერ დაარსებული "ერთობა, რაობა, იმედი - ერი" და გიორგი გახარიას მიერ ჩამოყალიბებული "საქართველოსთვის".

მეორე თავშივე განხილულია საქართველოს გეოსტრატეგიული მდგომარეობის სპეციფიკურობისა და ის უნიკალური მახასიათებლები, რამაც ქვეყნის ისტორიაში გადამწყვეტი როლი ითამაშა. სახელმწიფოს განვითარებაში სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების მიუხედავად, გეოგრაფიული მდგენელი თავის აქტუალობას დღესაც ინარჩუნებს. ეს კი, თავის მხრივ, იმაში გამოიხატება, რომ გეოპოლიტიკა თუ გეოსტრატეგია დღესაც მუშაობს და ანგარიშგასაწევია. საქართველოს მაგალითზე შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ გეოგრაფიული მდებარეობა ქვეყნისთვის, როგორც პოზიტიურ როლს შეიძლება თამაშობდეს, ასევე - გარკვეული საფრთხეების შემცველი შეიძლება იყოს. ასეთ მოცემულობაში კი თვითგადარჩენა სწორ პოლიტიკურ პოზიციონირებაზე, დიპლომატიაზე და ლავირებაზე გადის. გეოპოლიტიკურ ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს გარე ძალებისგან მომდინარე გავლენები და ინტერესები, რომელთა გატარებასაც სამხრეთ კავკასიაში სხვადასხვა მექანიზმებით ცდილობენ.

საქართველოს ისტორიული პერიპეტიების კვალდაკვალ გაანალიზებულია, თუ როგორ უწევდა ქვეყანას პოლიტიკური მანევრირება გარე ძალებთან მიმართებაში და ეს პროცესი როგორ წარიმართა XX საუკუნის 50-იანი წლებიდან დამოუკიდებლობის მოპოვებამდე. დისერტაციაშია ნაჩვენებია, თუ როგორ ჩამოყალიბდა ქვეყნის საგარეო კურსი და ორიენტირები ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახვასთან ერთად. ამასთან ერთად, შესწავლილია ზვიად გამსახურდიასა და ედუარდ შევარდნაძის საგარეო პოლიტიკური ხედვები და მათი როლი ქვეყნის ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის საკითხში. მათი მემკვიდრეობის სიმბოლური შეჯამება იყო ზურაბ

ჟვანიას გამოსვლა ევროსაბჭოს ტრიბუნიდან და მის მიერ გაჟღერებული პოლიტიკური გზავნილი, რომ საქართველოს ადგილი ევროპაშია. ეს გზავნილი საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარი მსაზღვრელი გახდა და საერთაშორისო ურთიერთობების წარმართვისას დღემდე მთავარ ვექტორად რჩება.

პოსტსაბჭოთა ტრანზიციის პროცესში საგარეო პოლიტიკის წარმართვის რამდენიმე მთავარი საკითხი გამოიკვეთა, ესენია: ლიბერალური ღირებულებების დემოკრატიულ ღირებულებებთან გათანაბრება და მათი უნივერსალიზაცია (1); ქართული საგარეო პოლიტიკის ერთ განზომილებამდე რედუცირება (2) და ქართული კულტურის უნიკალური მახასიათებლების ნიველირება (3). აღნიშნული საკითხები დისერტაციაში ვრცლადაა შესწავლილი.

მეორე თავის ბოლოს გაანალიზებული და გადმოცემულია, როგორ ჩამოყალიბდა პოსტ-საბჭოთა ელიტა ტრანზიციის პროცესში და რა თავისებურებები ახასიათებდა მათ მმართველობას. აქვე, გაშიფრულია ელიტების, როგორც მმართველთა კლასის სტრუქტურა, უშუალოდ ამ სოციალური კლასის ფორმირების დინამიკა და მისი პოლიტიკური შინაარსი. ერთი შეხედვით, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მმართველი ელიტა მუდმივ ტრანსფორმაციას განიცდის, მაგრამ მცირედი მოდიფიკაციების მიუხედავად ელიტების ბირთვი და მათი იდეოლოგია უცვლელი რჩება.

თავი III. საქართველოს ოპტიმალური განვითარების პერსპექტივები

ქვეთავები:

3.1. გლობალური აქტორების გავლენა საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებაზე: აშშ, რუსეთი, ჩინეთი და ევროპა;

3.2. ქართველი ერის ზოგადსაკაცობრიო ოპტიმალური როლის კონცეპტუალური გადააზრება;

3.3. საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის ანალიზი (სიღრმისეული ინტერვიუ)

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავი კონცენტრირდება პოსტსაბჭოთა საქართველოს განვითარების სამომავლო პერსპექტივებზე. თავში ვრცლადაა განხილული თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეთ საქართველოს განვითარებაზე მნიშვნელოვან საერთაშორისო აქტორებს, მათთან ურთიერთობის წარსული გამოცდილების საფუძველზე. მოცემულ თავში მოცემულია ახალი მეცნიერული აპარატის საშუალებით მიღებული ოპტიმალური მსოფლიო წესრიგის მოდელიც, რომელშიც საქართველოს, სხვა ერებთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი შეიძლება ჰქონდეს.

ვინაიდან საქართველოს განვითარების შესაძლებლობა მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული ძლიერ საერთაშორისო აქტორებთან, მესამე თავში დიდი ადგილი ეთმობა საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის ისტორიას, ასევე, საქართველოს გამოცხადებულ ევროპულ არჩევანს და ევროპის კონტინენტის სახელმწიფოებთან ურთიერთობის ისტორიას. რა თქმა უნდა, დასახელებულ ძალებთან სამომავლო თანამშრომლობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წარსული გამოცდილების გათვალისწინებას, რაც უკვე დაშვებულ შეცდომათა იდენტიფიკაციას და მათი გამეორების დაუშვებლობის უზრუნველყოფას გულისხმობს.

საქართველოს მომავალსა და აწმყოზე ამ ორი სახელმწიფოს ურთიერთობის და მასზე საერთაშორისო საზოგადოების რეაქციების დიდი გავლენის გამო, საჭიროდ ჩაითვალა რუსეთ-უკრაინის მიმდინარე კონფლიქტის ზოგადი

მიმოხილვაც. ნათელია, რომ ამ კონფლიქტში, გარდა რუსი და უკრაინელი ერების ურთიერთობისა, მიმდინარეობს ევრო-ატლანტიკურ და რუსულ სამყაროებს, როგორც მსოფლიო პოლიტიკის ძირითად აქტორებს შორის ურთიერთობათა გარკვევაც, შესაბამისად, იმას, თუ როგორ გადაწყდება კონფლიქტი, პირდაპირი გავლენა აქვს საქართველოს განვითარების პერსპექტივებზეც.

სადისერტაციო ნაშრომის პირველ ნაწილში განხილულია საქართველოს, როგორც პატარა ქვეყნის პრობლემები საერთაშორისო ურთიერთობებში. სწორედ ამ მიზეზით, დასკვნით თავში ადგილი ეთმობა სიდიდით საქართველოს მსგავსი ქვეყნების (ისრაელი, ირლანდია, ფინეთი და სხვ.) როგორც შიდა, ისე გარე ურთიერთობების გამოცდილებათა ანალიზს, რომელთა გათვალისწინებაც შესაძლოა გამოსადეგი იყოს საქართველოსთვისაც.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ახალ თეორიულ-მეთოდოლოგიურ აპარატს, ქართველი მეცნიერის ემზარ ხვიჩიას შექმნილ ინტერდისციპლინარულ სამეცნიერო დარგს "კვანტურ რელატივისტურ ნოოლოგიას", რომელიც დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის განვითარებაა. წარმოდგენილია ნოოლოგიის ძირითადი თეორიული დებულებები და ცნებები, რომლებიც გვეხმარება როგორც თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური პროცესების, ისე ისტორიული მოვლენების შინაგანი ლოგიკის აღმოჩენასა და დანახვაში.

კვანტური რელატივისტური ნოოლოგია ხსნის, თუ რატომაა სხვადასხვა ერებს შორის საერთო ენის გამონახვა ამდენად რთული, ამასთან, გვთავაზობს მეცნიერულად დაფუძნებულ საერთაშორისო ურთიერთობების მოდელს - "ოპტიმალიზმის დოქტრინას" - რომელიც ხსენებულ ძირითად აქტორებს - აშშ-ს, რუსეთსა და ჩინეთს - შორის ურთიერთობათა სტაბილიზებას და საერთო, მთელი ცივილიზაციისთვის სარგებლის მომტან პოლიტიკურ მოწყობას გულისხმობს. აღსანიშნავია, რომ თეორია ერთა "მომრიგებლის", ანუ ცივილიზაციის ისეთი ელემენტის როლში, რომელსაც სხვა ელემენტებს შორის არსებულ გაუგებრობათა და უთანხმოებათა გადაწყვეტა შეუძლია, საქართველოს, ქართველ ერს მოიაზრებს (ან ამ ტიპის სხვა ერებს).

ნაშრომის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის შესახებ ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზი. კვლევითი ინტერვიუების რესპონდენტებს შორის მოხვდნენ სამეცნიერო ინსტიტუტებისა და კვლევითი ცენტრების ხელმძღვანელები და მათ ბაზაზე მოღვაწე სხვა დარგობრივი ექსპერტები და მკვლევრები.

კვლევის ფარგლებში რესპონდენტების მხრიდან ყველაზე დიდი ყურადღება დაეთმო შემდეგ საკითხებს:

- მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, არსებული პრობლემები და პოლიტიკაზე გავლენის მომხდენი გარე ფაქტორები;
- მიმდინარე ეკონომიკური პროცესებისა და პრობლემების შეფასება;
- განათლება და მეცნიერება.

დასკვნა

XX საუკუნის ბოლო დეკადაში საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოქმნილი სახელმწიფოები ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდნენ. ახალი პერსპექტივებისა და გამოწვევების წინაშე მდგარი ქვეყნები საერთაშორისო ასპარეზზე თავიანთი ნიშის დამკვიდრებას ცდილობდნენ. თუმცა, ეს პროცესი სხვადასხვა ქვეყანაში მეტ-ნაკლები წარმატებით წარიმართა. წარუმატებელ სახელმწიფოთა სიის ერთ-ერთი წარმომადგენელი საქართველო გახლავთ, რომელმაც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ტრანზიციის პერიოდში, ქვეყანაში სტაბილურობის მიღწევა ვერ მოახერხა. მეტიც, დამოუკიდებლობის აღდგენის პარალელურად საქართველოში სამოქალაქო ომი გაჩაღდა, რომელმაც ხალხის მიერ ერთხმად არჩეული პრეზიდენტი - ზვიად გამსახურდია - მმართველობას ჩამოაშორა. უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის მეორე პრეზიდენტსაც, ედუარდ შევარდნაძეს, არ დასცალდა კონსტიტუციით განსაზღვრულ ვადებში თავისი უფლებამოსილების შესრულება და 2003 წელს საპრეზიდენტო მანდატი ვადაზე ადრე დატოვა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში პოლიტიკურად ტურბულენტური პერიოდი დადგა. ამ დროს შეუძლებელიც კი იყო ჩვენი ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევებისთვის გვეპასუხა. შეუთანხმებლობა, შუღლი, პოლარიზებული გარემო და შიდა ანტაგონისტური კერები ქვეყანას სტაბილურობის მიღწევის საშუალებას უსპობდა. განსხვავებული იყო საგარეო პოლიტიკის წარმოების სტრატეგიებიც: თუკი ედუარდ შევარდნაძე საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე დიპლომატიური ლავირებისა და ბალანსის შენარჩუნების სტრატეგიით ცდილობდა, როგორც დასავლელ, ასევე ჩრდილოელ პოლიტიკურ ლიდერებთან ურთიერთობას, მისი ადგილმონაცვლის - მიხეილ სააკაშვილის - გაცხადებულ პოზიციას მხოლოდ დასავლური ორიენტირი წარმოადგენდა. აღნიშნული საგარეო კურსი და ორიენტირი "ქართული ოცნების" მმართველობის პერიოდშიც შენარჩუნდა. თუმცა, ხელისუფლებათა ცვლამ ქართული რეალობისათვის ენდემური პრობლემები - ტერიტორიული მთლიანობა, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი უსაფრთხოება, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე და სხვ. - მაინც ვერ გადაჭრა. პოლიტიკოსების მიერ არჩეული კურსი და ქართული კულტურა ყოველთვის თავსებადი არ ყოფილა, რადგან ქვეყნის მიერ განვლილი გრძელი ისტორიული გზა და გამოცდილება ხშირად ნიველირებული იყო.

დისერტაციის ფარგლებში გაკეთებული ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი ქართული სოციოპოლიტიკური და კულტურული კონტექსტის სათანადოდ გააზრებისას, ქართველი ერის რაობისა და ქართული სახელმწიფოს საერთაშორისო როლის ფუნდამენტური განსაზღვრების არარსებობაა. არაერთი კვლევა, ნაშრომი თუ მონოგრაფია მიეძღვნა აღნიშნულ პრობლემას, თუმცა, მათი უმრავლესობა ემპირიულ და ფენომენოლოგიურ ანალიზს წარმოადგენს. შესაბამისად, ამ ტიპის ტექსტები ძირითადად "სიმპტომების" კვლევას ეხება, რითაც საქართველოს წინაშე არსებული პრობლემები ვლინდება, მაგრამ ამ სიმპტომთა საფუძვლებს ვერ სწვდება. ფენომენოლოგიური კვლევა მნიშვნელოვანია კონკრეტული საკითხის

სიღრმისეულად შესასწავლად, მაგრამ ამ ტიპის კვლევებით სრული სურათისა და კონტექსტის დანახვა ხშირად შეუძლებელია.

დისერტაციაში წამოჭრილი პრობლემის იდენტიფიცირების მიზნით, კვლევის ფარგლებში ათეულობით სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა, როგორც პოლიტიკის, ასევე ეკონომიკის დარგის ექსპერტებთან, რომლებიც წლებია პოსტსაბჭოთა საქართველოს განვითარების პრობლემებზე მუშაობენ. მიღებულმა შედეგებმა ნათლად გვაჩვენა, რომ არ არსებობს შეთანხმებული პოზიცია იმის თაობაზე, თუ რა არის ის ფუნდამენტური პრობლემა, რომლის აღმოფხვრის შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარება შეუქცევად პროცესად იქცევა.

გარდა ინტერვიუების ფორმატისა, კვლევის საზღვრებში გაანალიზდა უცხოელი ავტორების ნაშრომები, რომლებიც საქართველოს მსგავს პატარა სახელმწიფოებს და მათი განვითარების გზებს იკვლევს. ლიტერატურის დამუშავების პროცესში ნათლად წარმოჩინდა მცირე სახელმწიფოებისთვის განვითარების უნივერსალური მოდელის არარსებობა და ამ თემის შესწავლისას თეორიულ-კონცეპტუალური სისუსტეები.

ნოოლოგიის თეორიულმა აპარატმა კი პრობლემის არსის უკეთ წარმოჩენა გახადა შესაძლებელი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ემზარ ხვიჩიამ თეორია დედუქციური გზით/მეთოდით მიიღო. შევახსენებთ მკითხველს, რომ ნოოლოგიის დაფუძნება შესაძლებელი გახდა დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის განვითარებით, კერძოდ, განწყობის შინაარსში საზოგადოდ მოუცილებადი ასპექტის აღმოჩენის საფუძველზე. თეორიის საზღვრებში მოხერხდა, როგორც წარსული დროის, ისტორიული მოვლენებისა და პროცესების სისტემატიზაცია და ახსნა, ასევე - მიმდინარე გლობალური გეოპოლიტიკური ძვრების შინაარსისა და მნიშვნელობის გააზრება.

კვანტური რელატივისტური ნოოლოგიის საშუალებით აიხსნა ადამიანის არსი და ნათლად დაგვანახა მისი გამოყოფილობა ბიოსფეროდან. ასევე პასუხი გაეცა კითხვას, თუ რატომ და როგორ შეძლო ამ კონკრეტულმა სახეობამ ბიოსფეროს ტრანსფორმაცია მის სასარგებლოდ. გადაგვარებულობის მოხსნა

(ცხოველური მდგომარეობიდან თავის დახსნა) და პიროვნებად (ნოოიდად) გარდაქმნის შედეგად ადამიანები ჩაერთნენ ცივილიზაციურ პროცესში, სადაც ყოველ ინდივიდს და ინდივიდთა გამსხვილებულ ერთეულს - ერს/ნოოსს - კონკრეტული ფსიქო-სოციალური ფუნქცია და როლი გააჩნია.

სწორედ ნოოლოგიის თეორიამ მოგვცა საშუალება ქართველი ერისთვის დამახასიათებელი ის უნიკალური თვისებები წარმოგვეჩინა, რომელიც მას, როგორც მართვის მანიის ლიდერ ერს გააჩნია. "ოპტიმალიზმის დოქტრინის" ინიციირება, რაზეც "თეორიული ალტერნატივების სიმწირე და ოპტიმალიზმის დოქტრინის" ქვეთავში ვისაუბრეთ, საშუალებას მოგვცემს შევასრულოთ ჩვენი ნოოტიპისათვის შესაფერისი როლი მსოფლიო პოლიტიკაში. სწორედ ამ როლის შესრულებაზეა დამოკიდებული საქართველოს მდგრადი განვითარება და წარმატებულ ქვეყანათა რიგებში აღმოჩენა.

ოპტიმალიზმის დოქტრინის ინიციირება ორი მიზეზისდა გამო გახდება საქართველოს ოპტიმალური განვითარების გარანტი: პირველი მიზეზი მისი ნოოტიპის შესაბამისი ფუნქციის შესრულებაში მდგომარეობს. ქართული საზოგადოება გაემიჯნება მოძველებული რესურსების დატაცების პარადიგმით ნაკარნახევ სტრატეგიას და უნივერსალურობაზე პრეტენზიის მქონე ნეოლიბერალურ იდეოლოგიას, რომელიც ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში მართვის ქართველი ერისთვის დიდი დისკომფორტის წყაროა. მეორე მიზეზს კი საერთაშორისო ურთიერთობებში და თანამედროვე გლობალურ პოლიტიკურ არქიტექტურაში საქართველოს მსგავს ერზე (მართვის მანიის ერზე) და მისი ნოოტიპით გათვალისწინებულ როლზე მოთხოვნილების არსებობაა.

როგორც მაღლა განვმარტეთ, ნოოლოგიის შედეგებმა გამოავლინა, რომ თვითკმარი გლობალური ცივილიზაცია 4 ნოოტიპისგან (ოთხი ტიპის ერისგან) შედგება და ოპტიმალურად ფუნქციონირებადი ცივილიზაცია ოთხივე ნოოტიპის აქტუალიზაციაზეა დამოკიდებული. მაშასადამე, სრული სისტემის ეფექტური ფუნქციონირება თითოეული ტიპის ერის როლისა და ფუნქციის ჯეროვნად შესრულებაზეა დამოკიდებული. ამგვარად, ყველა პოლიტიკური აქტორის

ინტერესში შედის ოთხივე ნოოტიპის ერის ფუნქციების გადანაწილება და მათი ნოოტიპისთვის დამახასიათებელი თანმიმდევრული ოპერირება.

დისერტაციის ფარგლებში ჩატარებულმა კვლევებმა ნოოლოგიის თეორიის კოლოსალური პოტენციალი და მისი აკადემიურ ცხოვრებაში შემოტანისა და ცირკულაციის აუცილებლობა წარმოაჩინა. როგორც ნაშრომში განვიხილეთ, არსებობენ პატარა სახელმწიფოები, რომელთა პოზიციები საერთაშორისო სისტემაში გაცილებით უფრო მყარადაა წარმოდგენილი, ვიდრე - საქართველოს. ნოოლოგიის საფუძველზე კი დადგინდა, რომ ქართველი ერი, თავისი ნოოტიპის შესაბამისად ძალიან მნიშვნელოვანია ცივილიზაციისთვის, თუ ის მისი ნოოტიპისთვის შესაფერის საერთაშორისო ფუნქციას შეასრულებს და არ მოექცევა ტრანსფორმაციის ქვეშ.

ჩატარებულმა კვლევამ წარმოაჩინა, რომ საქართველოს პოლიტიკური განვითარების მოდელი არ შეიძლება პირდაპირ სხვა ქვეყნების გამოცდილებას დაეყრდნოს. ქვეყანას ჭირდება განვითარების ისეთი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც მისი ნოოტიპისთვის შესაფერის სოციო-პოლიტიკურ მოწყობასთან იქნება ადაპტირებული. ქვეყნის განვითარების დღევანდელი კურსი ორ სამომავლო სცენარს გვიქადის: მართვის მანიის ნოოტიპის თავდაცვით რეაქციას ან მეორე, უფრო სახიფათო, მაგრამ ნაკლებად მოსალოდნელ მოვლენების განვითარებას, კერძოდ, ნოოტიპურ ტრანსფორმაციას, რაც ნოოლოგიის აპარატის მიხედვით, ერის ტრანსფორმაციის ტოლფასია (აღნიშნული ნაკლებ სავარაუდოა, რადგან ფაზის ხანგრძლივობა ტექნოლოგიური პროგრესის და ინფორმაციის ცვლის აქსელერაციის გამოისობით საგრძნობლადაა შემცირებული და შესაძლოა კიდევ უფრო შემცირდეს. ამ თემაზე უფრო ვრცლად 3.2.3 ქვეთავში - “ცივილიზაციის არსებობისა და მდგომარეობის ცვლის კანონები” - ვისაუბრეთ).

ნოოლოგიის თეორიით დადასტურდა ამ დრომდე ინტუიციურად არსებული შეხედულება, რომ საქართველო სწორედ ქართველების უნიკალური თვისების დახმარებით გადაურჩა მძლავრი იმპერიების შემოსევებს. დისერტაციის ფარგლებში დადგინდა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ამ თვისების მეცნიერულად

შესწავლა და მის საფუძველზე თანამედროვე პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტა.

ნაშრომში წარმოჩენილი მეცნიერული ხედვა და ანალიზი ხელს შეუწყობს ქართულ სახელმწიფოს იპოვოს მისი ოპტიმალური განვითარების გზა, რომლის საფუძველზეც სამომავლო მოქმედებებს სრულად მეცნიერულ ნარატივს დაუქვემდებარებს.

ინფორმაცია ნაშრომის აპრობაციის შესახებ

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში, დაცულ იქნა სამი კოლოქვიუმი და ერთი თემატური სემინარი.

სამი კოლოქვიუმი (თითოეული არის სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი)

1. კოლოქვიუმი №1 - “პოსტსაბჭოთა საქართველოს პოლიტიკური პროცესების ანალიზის ისტორიული, მეთოდოლოგიური და თეორიული ჩარჩო”.
2. კოლოქვიუმი №2 - “პოსტსაბჭოთა საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები”.
3. კოლოქვიუმი №3 - “საქართველოს განვითარების პოტენციალისა და პერსპექტივის ოპტიმიზაციის სქემა”.

თემატური სემინარი (ეძღვნება დარგის/ქვედარგის აქტუალურ საკითხს და არ წარმოადგენს სადისერტაციო თემის ნაწილს)

,,ახალი კორონავირუსი და გლობალური პოლიტიკური პროცესები“.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში:

1. "კვანტური რელატივისტური ნოოლოგია" და "საერთო ნიადაგის თეორია": მათი ავტორებისა და შინაარსების შედარება და შეფასება - რეფერირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი ,,პოლიტო/LOGOS”, №5 გამოცემა, 2022 წ.

2. პარტიული პოლიტიკის ფუნდამენტური პრობლემა საქართველოში. რეფერირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი ,,პოლიტო/LOGOS", №3 გამოცემა, 2021 წ.

საერთაშორისო კონფერენცია:

1. Political Polarization According to Relativistic-Quantum Noology: Georgia, USA and the Rest of the World. 8th International Multidisciplinary Conference on Economics, Business, Engineering and Social Sciences", European Institute for Research and Development. 18-19 დეკემბერი, 2021 წელი.
2. 2020 წლის არჩევნები საქართველოსა და აშშ-ში: წინაპირობები, ურთიერთკავშირი და პროგნოზები. სეუ და მეცნიერება, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, 16-17 თებერვალი, 2021 წელი.

Caucasus International University

Faculty of Social Sciences

Doctoral Educational Program in Political Sciences

Right of Authorship

Lasha Shamatava

The Post-Soviet Georgia and Its Political Development: Problems and Perspectives

The synopsis of the dissertation is submitted for the

Doctor of Political Sciences degree

Tbilisi, 0141, Georgia

2023

Research Supervisor:

Tamar Kiknadze - Doctor of Political Sciences, Associate Professor at the Caucasus International University.

Official Reviewers:

1. **Ketevan Jijeishvili** - Doctor of Political Sciences, Associate Professor at the Georgian Technical University.
2. **Vakhtang Maisaia** - Doctor of Political Sciences, Professor at the Caucasus International University.

The thesis is defended on April 25, 2023, at 15:00, with the Dissertation Board of the Caucasus International University Faculty of Social Sciences.

Address: 0141, Chargali Str., CIU, Building 1, Room 305.

The full version of the dissertation is available at the library of the Caucasus International University.

Secretary of the Dissertation Board

Petre Mamradze - Associate Professor of the Caucasus International University

Annotation

The dissertation topic is "Problems and Perspectives of Political Development in Post-Soviet Georgia," It concerns the problems and challenges independent Georgia is facing and the alternatives for solving them.

The paper discusses the history of post-Soviet Georgia, including the Civil War, the Rose Revolution, the post-revolutionary period, the 2020 parliamentary elections, and its aftermath. It discusses how the foreign politics of the country was transforming throughout time. At the same time, the paper discusses the problems and challenges the country encountered after gaining independence and tries to identify the causes of these problems. A significant part of the dissertation is devoted to solving the issues by introducing the new scientific theory. This theory enables the classification of different types of nations and their incorporation into international politics based on the functions/roles corresponding to the kind of nation.

The introductory part of the dissertation comprises the relevance of the research topic, the research goals, the research questions, the research methods, and the theoretical approaches. The introductory part also accentuates the originality of the research, and the theoretical, also practical significance of the work.

In the dissertation, we employ historical analysis and interpretation as the qualitative research method designed to answer the research questions.

The identification of the obstacles and perspectives of post-Soviet Georgia required research in various directions. Before studying the post-soviet period, we discuss the peculiarities of the historical development of Georgia.

In the thesis, we present the theoretical foundations of the small countries' behavior in the international arena, according to Stephen Walt. Hereafter, the problems of Georgia are discussed in the context of this "small country." Also, this section examines the transformation of the post-Soviet space, the transition process, and its dimensions.

The first part of the paper is dedicated to the theoretical-methodological framework of the work and discusses the basic principles and concepts of Relativistic-Quantum Noology. Based on Noology, issues raised in the various sub-chapters are analyzed. As an attachment, we introduce qualitative research about Georgia's socio-economical and political development.

As mentioned above, most of the dissertation concentrates on Georgia's recent history. In the process of the research, the main obstacles that Georgia has endured after

gaining independence are detected, and it tries to analyze these obstacles in the way of development from different theoretical points of view. For example, we analyze the pros and cons of Georgia's Western orientation. We also discuss the equation of Liberal and democratic values under the guise of Western choice, which, in turn, poses a threat to the levelling of unique features of Georgian culture.

The paper discusses the particular features of the process of formation of Georgian elites and their influence on the problems Georgia is facing today. In addition, one sub-chapter discusses the geostrategic location of Georgia and its characteristics.

Along with Georgia's recent history, the formation of Georgian elites' and their role in development, the dissertation discusses the 2020 parliamentary elections in Georgia. It examines all the important political events in the country from August 2020 to June 2021. In 2020-2021 the political tensions did not diminish for most of the year. The announcement of the election results was tailed by social protests, the UNM chairperson's arrest, the prime minister's resignation, talks with the EU President, and other events that showed the complexity of Georgia's current political conjuncture.

Besides the Georgian political conjuncture, in the research, we discuss the impact of such significant global actors on the political and economic development of Georgia as the United States, China, and Russia. It also covers the ongoing conflict between Russia and Ukraine and Georgia's positioning in this conflict. At the end of the sub-chapter, there are gathered several success stories of other small states that reached some progress in certain areas.

The final part of the paper is dedicated to evaluating the capacity and the alternatives for the development of Georgia. The chapter introduces the optimal model of development based on Relativistic-Quantum Noology.

In order to make the above-mentioned optimal model comprehensible, the chapter "Conceptual Revision and Practical Steps of the Universal Optimal Role of the Georgian Nation" sets out the basic principles of Relativistic-Quantum Noology. It also introduced the theoretical findings and practical action plan based on "The Doctrine of Optimalism." The initiation of the Doctrine of Optimalism is foremost for the self-realization of Georgia and the stabilization of the global processes.